სსრ კავშირის მთავრობა მიმართავს საბჭოთა ხალხს და მოუწოდებს, რომ კვლავაც განაგრძოს შრომა ისეთივე წარმატებით, როგორც ამჟამად შრომობს. საბჭოთა კავშირის მთავრობა ყოველ ღონეს იხმარს იმისათვის, რომ უზრუნველყოს მშვიდობა და მშვიდობიანი თანაარსებობა ყველა ქვეყანასთან.

საქდესის მანიფესტიდან

მშრომელთა ხმა

ქუთაისი. (საქ. კორ.). ქალაქის მშრომელები უსაზღვროდ აღშფოთა ცნობამ, კუბაზე ამერიკელი იმპერიალისტების თავდასხმის საფრთხის გაძლიერების შესახებ. ფაბრიკა-ქარხნებში და ახალშენებლობებზე იმართება საუბრები, ხალხმრავალი საპროტესტო მიტინგები, რომლებზეც მშრომელ-ბი გულისწყრომით გმობენ პროვოკატორთა ეტიფარ გამობდომას, განზრახვას ხელყონ თავისუფალი კუბელი ხალხის დამოუკიდებლობა.

გუშინ ხალხმრავალი მიტინგი გაიმართა ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანაში. მიტინგი გახსნა პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ გ. იობიძემ.

საკდესს განცხადება შეკრებილთ გაეცნო ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანმა ლ. ფანიშელიძემ.

ტრიბუნაზეა კომუნისტური შრომის [illegible] ოქტომბერ. [illegible] ... [illegible] ... [illegible] ...

მევენახეობისა და მეღვინეობის X საერთაშორისო კონგრესი

მეღვინეობისა და მევენახეობის საერთაშორისო ბიუროს სესიის პლენარული სხდომა

12 სექტემბერს თბილისში გაიმართა მეღვინეობისა და მევენახეობის საერთაშორისო ბიუროს 42-ე სესიის პლენარული სხდომა, რომლის ინიციატივით ეწყობა მევენახეობისა და მეღვინეობის X საერთაშორისო კონგრესი. ეს სამთავრობათაშორისო ორგანიზაცია შეიქმნა საერთაშორისო შეთანხმებით 1924 წლის 29 ნოემბერს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში, რომელიც მორთულია საერთაშორისო ბიუროს წევრი ქვეყნების სახელმწიფო ალმებით, არიან ამ ორგანიზაციაში შემავალი საზღვარგარეთის სახელმწიფოთა წარმომადგენლები.

თავმჯდომარის მაგიდას უსხედან მეღვინეობისა და მევენახეობის საერთაშორისო ბიუროს პრეზიდენტი და ვიცე-პრეზიდენტები, ამ ბიუროს წევრები.

შეერებლთ სიტყვით მიმართავს ბიუროს პრეზიდენტი ბარონი ლე რუა. იგი ამბობს:

— ძვირფასო კოლეგებო! იმ დიდსულოვნებისა და ძვირფასი დახმარების მეობებით, რაც ჩვენს ორგანიზაციას გაუწია საბჭოთა მთავრობამ, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავაზიანობის მეობებით ჩვენს განკარგულებაშია ეს შესანიშნავი შენობა. ჩვენ შეგვიქმნეს ყველაზე ხელსაყრელი პირობები მუშაობისათვის, ხოლო როცა პირობები კარგია, უკეთესად და უფრო ნაყოფიერად შეიძლება იმუშაო. ვიმედოვნებ, რომ ჩვენი მუშაობა ჩაივლის თანამშრომლობის, ურთიერთგაგებისა და მეგობრობის კვითარებაში.

იწყება დღის წესრიგის საკითხთა განხილვა.

მოსმენილ იქნა მოხსენებანი მეღვინეობისა და მევენახეობის საერთაშორისო ბიუროს კომიტეტის მუშაობის შესახებ, მოხსენება 1961 წლის ფინანსური მდგომარეობის, 1962 წლის საბუღალტრო საქმეების შესახებ და მოხსენება 1963 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ. პლენარულმა სხდომამ ერთხმად დაამტკიცა ბიუროს რეკომენდაციები.

მეღვინეობისა და მევენახეობის საერთაშორისო ბიუროს კომიტეტის დირექტორმა ბატონმა პროტენმა გააკეთა მოხსენება „მევენახეობის მდგომარეობა მსოფლიოში". მოხსენებაში მოყვანილია საინტერესო მონაცემები ამ სასოფლო-სამეურნეო კულტურის თანამედროვე მდგომარეობის შესახებ. მსოფლიოში ვენახებს უკავია 9.8 მილიონი ჰექტარი. ყოველწლიური მოსავალი აღწევს 44 მილიონ ტონა ყურძენს და მზადდება დაახლოებით 242 მილიონი ჰექტოლიტრი ღვინო.

მოხსენებაში აღინიშნა საბჭოთა მევენახეობისა და მეღვინეობის დიდი წარმატება. განსაკუთრებით ინტენსიურად ვითარდება მევენახეობა სსრ კავშირსა უკანასკნელი წლების მანძილზე. ბატონმა პროტენმა დაასახელა ციფრი — 86 ათასი ჰექტარი: ამდენით გაიზარდა შარშან ვენახის ფართობი სსრ კავშირში. ვენახის ასეთი ინტენსიური ზრდა არც ერთ ქვეყანას არა აქვს.

სესიამ მიიღო იმ ქვეყნების მთავრობათა მთელი რიგი რეკომენდაციები, რომლებშიც მისდევენ მევენახეობასა და ღვინის წარმოებას.

სესიამ დაამტკიცა მევენახეობისა და მეღვინეობის დარგში საუკეთესო მეცნიერული ნაშრომებისათვის 1961 წლის პრემიების მინიჭების საპრიზო ჟიურის რეკომენდაციები. პრემიები მიენიჭათ საფრანგეთის, იტალიისა და ესპანეთის წარმომადგენლებს.

სესიამ განიხილა შემდეგი საკითხი — ბიუროს შემადგენლობის განახლება. იმასთან დაკავშირებით, რომ ამოიწურა პრეზიდენტის რწმუნებათა ვადა, რომელიც სამი წლით განისაზღვრება, და ახლანდელი პრეზიდენტის პიროდი თხოვნით ბარონი ლე რუა პრეზიდენტის პოსტზე ხელახლა აირჩიეს ერთი წლის ვადით. პრეზიდენტის კანდიდატურის საკითხი განხილულ იქნება მომავალი წლის სესიაზე.

ორი ახალი ვიცე-პრეზიდენტის პოსტები გადაწყდა მიეცეთ სსრ კავშირსა და საბერძნეთს. ამ ქვეყნების მთავრობებს გაეგზავნათ წინადადება დანიშნონ კანდიდატურები. ვიცე-პრეზიდენტების ორი პოსტი დაუტოვეს ესპანეთსა და ისრაელს.

თავმჯდომარე აცხადებს, რომ შემოსულია ისრაელის სახელმწიფოს მთავრობის ოფიციალური წინადადება მეღვინეობისა და მევენახეობის საერთაშორისო ბიუროს მორიგი პლენარული სესია გაიმართოს ისრაელში. წინადადებას კენჭი უყარეს. ამ წინადადებას ხმა მისცა თოთხმეტმა დელეგაციამ, წინააღმდეგ — მაროკოსა და ტუნისის დელეგაციებმა. სსრ კავშირის, ბულგარეთისა და ჩეხოსლოვაკიის დელეგაციებმა თავი შეიკავეს.

ბიუროს დაევალა მომაზადოს მორიგი პლენარული სესიის დღის წესრიგი, რომელიც გაიმართება ტელ-ავივში.

სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება მეღვინეობისა და მევენახეობის საერთაშორისო ბიუროს წევრად მიიღონ ბელგია, რომლის მთავრობამ შესაბამისი თხოვნა გამოგზავნა.

ამით მეღვინეობისა და მევენახეობის საერთაშორისო ბიუროს სესიის პლენარულმა სხდომამ დაამთავრა მუშაობა.

დღეს, 13 სექტემბერს, დილის 9 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიხსნება მევენახეობისა და მეღვინეობის X საერთაშორისო კონგრესი. (საქდესი).

სურათზე: მევენახეობისა და მეღვინეობის X მსოფლიო კონგრესის მონაწილეთა ერთი ჯგუფი თბილისში.
ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ხალხთა მეგობრობის ნიშნით

გუშინ მევენახეობის და მეღვინეობის მეათე მსოფლიო კონგრესის მონაწილენი თბილისში ჩამოვიდნენ, გაიმართა პირველი შეხვედრები. მეცნიერები, სპეციალისტები მსჯელობენ, ერთმანეთს უზიარებენ საქართველოს დედაქალაქში ყოფნის პირველ შთაბეჭდილებებს.

გაზეთ „კომუნისტის" კორესპონდენტი შეხვდა კონგრესის მონაწილეებს და სთხოვა გამოთქვათ თავიანთი აზრი.

აი რა გვიამბეს მათ:

ასე მგონია შინა ვარ

პიერ ლე რუა,
ყურძნისა და ღვინის საერთაშორისო ბიუროს პრეზიდენტი (საფრანგეთი).

თქვენს მომხიბლავ ქვეყანას თვითმფრინავიდან რომ გადმოვხედე, ხოლო შემდეგ ფეხი დავდგი საქართველოს მიწაზე, თავი უცბად პროვანსის დეპარტამენტში ვიგრძენი. პირველი ჩემი შთაბეჭდილება ასეთია: თბილისის ირგვლივ მიდამოს ბუნება პროვანსს მაგონებს, თვით ქართველებიც ისეთივე არიან, როგორც ფრანგები — ტემპერამენტიანი, სიცოცხლით სავსე, მომღიმარე. ასე მგონია შინა ვარ.

მოსკოვშივე გავსინჯე ქართული ღვინო, ხოლო უფრო ადრე ჩემმა მეგობარმა გერასიმოვმა შვეიცარიაში 10 ბოთლი სხვადასხვა ღვინო ჩამოიტანა, აქედან ექვსი ქართული იყო. ქართული ღვინოები შესანიშნავია.

მხურვალე სალამი მზიური საქართველოს მშრომელებს!..

მაშ დავიწყეთ, კარგია!

კ. ნაზარენკო,
მევენახეობისა და მეღვინეობის მეათე მსოფლიო კონგრესის გენერალური კომისარი, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე.



დაბეჯითებით უნდა ვთქვა, რომ მევენახეობისა და მეღვინეობის მეათე მსოფლიო კონგრესისათვის საქართველოს მევენახეები და მეღვინეები კარგად მოემზადნენ. ჩვენს მიერ დამტკიცებული პროგრამა, ეფექრობ, ერთობ საინტერესოა და მისი განხორციელებისა მედეგად ბევრ ახალს შეისწავლიან როგორც საბჭოთა ისე უცხოელი სპეციალისტები.

საქართველოში მევენახეობასა და მეღვინეობას უძველესი დროიდან მისდევენ. ყურძნისა და ღვინის საერთაშორისო ბიუროს ამიტომ აირჩია საქართველო კონგრესის ჩატარების ადგილად.

თბილისში ჩამოვიდა 500-მდე კონგრესმენი. აქედან 200-ზე მეტი უცხოელია. ისინი ერთმანეთს გაუზიარებენ დაგროვილ მდიდარ გამოცდილებას.

არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ ქართული ღვინოები ყველაზე საუკეთესოა საბჭოთა კავშირში, და მეტოქეობას თავისუფლად გაუწევს მსოფლიოს რომელიც გინდათ ღვინოებს.

ეს ჩვენ გვაახლოებს

ტ. კატარიანი,
მევენახეობისა და მეღვინეობის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის „მალარაჯის" დირექტორი (იალტა).

მოხარული ვარ მევენახეობისა და მეღვინეობის მეათე მსოფლიო კონგრესი ჩვენში, საბჭოთა კავშირში, კერძოდ კი საქართველოში რომ მოიწვიეს. ეს იმაზე მეტყველებს, რომ ჩვენში ყოველწლიურად იზრდება ვენახების ფართობი და სრულყოფილი ხდება ღვინის დაყენების ტექნოლოგია.

ქართული ჯიშის ვაზებმა თავისი მეორე სამშობლო ყირიმში, უკრაინაში, ჩრდილო კავკასიაში ჰპოვეს. ქართული ვენახებისა და ღვინოების ამ დიდი გამოცდის დღეებში მხურვალედ მივესალმები ჩემს ქართველ კოლეგებს. დე ქართული ვაზის რქამ უფრო მტკიცედ შეამკიდროს მეგობართა გულები!

საქართველო — საგჭოთა სიცილია

გ. დელმასსო,
ტურინის უნივერსიტეტის პროფესორი (იტალია).

მოსკოვში ძალზე ცოტა ხანს დავყავით და რაც ვნახეთ, უნდა ვთქვა, რომ ყველაფერი გრანდიოზულია.

საქართველოში რომ ჩამოვედი, ასე მეგონა ჩემს სამშობლოში ჩავედი. ეფექრობ იტალიელები და ქართველები ერთმანეთს ჰგვანან არა მარტო შეხედულებით, არამედ ხასიათითაც. მე ასე ვიტყოდი, რომ საქართველო საბჭოთა სიცილიაა.

რა შემიძლია ვთქვა ქართულ ღვინოებზე? ძალიან ბევრი კარგი. თქვენი თეთრი ღვინოები მზიანია, თუ შეიძლება ასე ითქვას, ძარღვებში ადამიანს ცეცხლს წაუკიდებს. წუნი არც წითელ ღვინოებს დაედებათ.

მოხარული ვარ, რომ ხანდაზმულობის პერიოდში მაინც ვიხილე საქართველო. ჩემი სურვილია ახლო გავეცნო მის ბუნებას, მზიარულ და ნიჭიერ ხალხს.

ქართული ვაზი — ჩეხოსლოვაკიაში

ვ. კრაუსი,
ბრატისლავის მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტის ველკემერნოსეკის სახელმძღვანელო სადგურის მეცნიერი მუშაკი (ჩეხოსლოვაკია).

დიდი ხნის ნატვრა ამიხდა, მე ვენახებით სახელგანთქმულ საქართველოში ვარ, მოხარული ვარ, რომ მომეცა შესაძლებლობა ახლოს გავეცნო იმ ქვეყანას, სადაც ვაზის კულტურა მაღალ დონეზეა აყვანილი.

უნდა გახაროთ, რომ თქვენებური რქაწითელი, საფერავი და მწვანე ძალიან კარგად ხარობს ჩეხოსლოვაკიის მიწაზე. ჩემი მეცნიერული შრომებიც სწორედ ამ ჯიშების ჩეხოსლოვაკიაში გავრცელებას შეეხება, უკვე სამ წელზე მეტია კი ჯიშები კარგად გრძნობენ თავს ჩვენთან, ხოლო ჩრდილოეთ რაიონებში ყურძენი დამწიფებას ვერ ასწრებს. ჩემი შემდგომი მუშაობის მიზანია შევაგეო ეს ჯიშები ჩეხოსლოვაკიის ჩრდილოეთის რაიონების ბუნებას.

ჩვენ თბილისში გულთბილად შეგვხვდნენ. ეს კი ყვავლაფერს ნიშნავს. მაშასადამე, კონგრესის დღეები მეტად ნაყოფიერი იქნება.





მედალოსნები

ვინ არ მოხიბლულა ქართული ღვინის გემოთი, ფერითა და სურნელებით.

აღმოსავლეთის, დასავლეთის, სამხრეთისა თუ ჩრდილოეთის ქვეყნებში ცნობილია საქართველოს მადლიან მიწაზე მოყვანილი მაღალხარისხოვანი ღვინოები. ისინი ყოველთვის მომხმარებლის დიდი მოწონებით სარგებლობენ.

ქართული სამარკო ღვინოები წინანდალი, მუკუზანი, ახმეტა, ქინძმარაული, ახაშენი მიმზიდველი ბუკეტითა და საუკეთესო გემოვნებით გამოირჩევიან. ამიტომაც საერთაშორისო გამოფენებსა და კონკურსებზე ოქროს მედლებით დაჯილდოვდნენ. ღვინოები ხვანჭკარა, გურჯაანი და ტიბაანი კი დაჯილდოებული არიან ვერცხლის მედლებით.

სამარკო ღვინო წინანდალი დიდი ხანია მაღალ შეფასებასა და ჯილდოებს იღებს. ამ ღვინოს მიღებული აქვს მედლები საერთაშორისო გამოფენებზე. მაგალითად, 1955, 1957 და 1958 წლებში ქალაქებში ლიუბლიანაში, ბრიუსელსა და ბუდაპეშტში დაჯილდოებულ იქნა ვერცხლის მედლებით, ხოლო 1958 წელს მოსკოვში მიიღო დიდი ვერცხლის მედალი.

1960 წელს ბუდაპეშტში კვლავ მიმდინარეობდა სამარკო ღვინოების ღირსების შეფასება. წინანდალმა აქაც გაუწია კონკურენცია თავის მეტოქეებს. სწორედ ამიტომ იყო, რომ სადეგუსტაციო კომისიამ იგი ოქროს მედლით დააჯილდოვა. ახლა წინანდალი მსოფლიოს ბევრ სამარკო ღვინოს უწევს კონკურენციას.

უეჭველია, ქართული ღვინოები ერთხელ კიდევ დაიმსახურებენ მევენახეობისა და მეღვინეობის X მსოფლიო კონგრესის მონაწილეთა და სადეგუსტაციო კომისიის მოწონებასა და ჯილდოებს.

ვლ. ოდიკაძე.

რთველია საქართველოში — მზის, ვაზისა და ვარდის ქვეყანაში. ქარვისფრად კრიალებს, წითლად ღუის ყურძენი, ხეზე მოსავალს იღებენ სახელგანთქმული ქართველი მევენახეები.

სურათებზე: (მარცხნივ) მარნეულის რაიონის ალგეთის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მოწინავე მუშა ა. მამედოვა; გორის რაიონის ატენის ღვინის ქარხანამ წელს 1.000 ტონა ყურძენი უნდა გადაამუშაოს. მარჯვენა სურათზე — ატენის ღვინის ქარხანა.

ფოტო ქ. ხახუტაშვილისა და ი. დავითაშვილისა
(საქდესის ფოტოქრონიკა).

ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡ ᲠᲗᲕᲔᲚᲘ

მევენახეობისა და მეღვინეობის X მსოფლიო კონგრესის მონაწილეებს

საქართველოში ოქრო იზრდება,
შიგ მზე და სისხლი ერთად მწიფდება,
ვიდრე ვწურავდე მწიფე რქაწითელს,
გულში სევდა ვერ გახელმწიფდება.

რომ საქართველო საწნახელია
და შიგ მირონი ამომჩქეფარებს,
რომ ვაზის ძირში ნაცარცხელია
და ვაზს მკერდებით გადავეფარეთ,

გაგიგონიათ? გრძელი მანძილი
ვაზთან მხარდამხარ, ერთად ვიარეთ,
შეგვინახია უკვდავ განძივით,
ერთმანეთს გული შევუზიარეთ.

გაგიგონიათ ვაზის ხანძარი,
განა გინახავთ ვაზქვეშ სამარე?
იცით, ამ მტევნებს ჰგლეჯდა ხაზარი,
ვაზზე შემხმარ სისხლს ჰხედავთ ნამალევს?

მაგრამ, მტარვალის გამობრაზებით,
ფერფლში, ნაცარში, ყოველწამიერ
ფესვგადაბმული ჩვენი ვაზები
მაინც მღეროდნენ მრავალ-ჟამიერს!

ვაზი შვილია! და მისთვის გარჯა
აჰა, იხილეთ შრომის დაფაზე.
ჩვენ ღვინოს უფრო სტუმრისთვის ვხარჯავთ,
მარილს ოქროზე მეტად ვაფასებთ!

უსტუმროდ მზეც კი თბილი არ არის,
ამაზე გეტყვით ღვინო ქართული.
გავხსენით თქვენთვის ყველა მარანი,
სიყვარულია ჭიქას ჩართული!

დღესაც, ვით სახელს მუდამ იმკიდა,
ბრძოლით და შრომით იმკის ქართველი.
ასწიეთ სმური შოთას ჭიქიდან
და ადღეგრძელეთ მშვიდობის რთველი!

მიიღეთ ჩვენი გულის სიმართლე,
ამაზე მეტი რა გვაქვს ფეშქაში?
გვინდა ვხედავდეთ ძმობის სინათლეს
ყანწის, ფსკერსა თუ აზარფეშაში!

დე, იჩხრიალონ საწნახელებმა
ბედნიერების, სიცოცხლის მღერით.
კრიფონ მტევნები უხვად ხელებმა,
დატკბეს ცხოვრება,
ვით მაჭრის ჩქერი!

გიორგი ლეონიძე,
საქართველოს სახალხო პოეტი.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲣᲛᲠᲔᲑᲘ

დღეს საქართველოში მუშაობას შეუდგება მევენახეობისა და მეღვინეობის X მსოფლიო კონგრესი. ამ კონგრესს ესწრებიან იმ სახელმწიფოთა წარმომადგენლები, რომლებშიც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მევენახეობა-მეღვინეობას და საკმაოდ მაღალი კულტურა მოპოვებათ ღვინის დაყენების საქმეში. როგორც ცნობილია, წინა კონგრესს, რომელიც 1958 წელს ალეირში გაიმართა, საბჭოთა კავშირის მევენახე-მეღვინეები სხვადასხვა მიზეზების გამო ვერ დაესწრნენ. ამ კონგრესს არა ჰქონია ისეთი ფართო, საერთაშორისო, მეცნიერული მასშტაბი და მნიშვნელობა, როგორიც ამ კონგრესს ექნება.

X კონგრესს ესწრება მსოფლიოს ორმოცი სახელმწიფოს ოთხასი წარმომადგენელი, რომელთა შორის არიან ცნობილი მევენახე-მეღვინეები.

ამ კონგრესზე მოეწყობა ქართული ღვინოებისა და კონიაკების დეგუსტაცია. ეს იქნება დიდი გამოცდა, რომელიც მონაწილეობას მიიღებენ მსოფლიოში ცნობილი მეღვინეები. დეგუსტაციაზე წარდგენილი იქნება ორმოცი დასახელების ქართული ღვინო და ექვსი დასახელების კონიაკი. ღვინოებს შორის გაისინჯება წინანდალი, ნაფარეული, მუკუზანი, თელიანი, ახმეტური, ჩხაური, ცოლიკაური, ხვანჭკარა, ქინძმარაული და სხვ. კონიაკებიდან მონაწილეობენ სამარკო კონიაკები: ენისელი, თბილისი, ვარციხე, გრემი...

ღვინოები გაისინჯება როგორც ხუთი, ექვსი წლის სიძველისა, ისე გასული წლის მოსავლიდან, იმისათვის, რომ კონგრესის მონაწილეებს ნამდვილი წარმოდგენა ჰქონდეთ ქართულ ღვინოებზე. წელს ღვინოები ცალცალკე დავაყენეთ ყველა სამამულო ყურძნის ჯიშისაგან. მაგალითად, რქაწითელი, მწვანე, ციცქა, ცოლიკაური, ჩინური, თავკვერი, ჯანანურა, საფერავი, ალექსანდროული და სხვ.

საინტერესო იქნება მეღვინეობის კლასიკური ქვეყნების — საფრანგეთის, იტალიის, ესპანეთის და სხვათა მეცნიერების გამოსვლა.

ვაზის კულტურამ ამ უკანასკნელ ათეულ წლებში დიდი გაღანგება მოიპოვა მსოფლიო მასშტაბით. ზოგიერთი სახელმწიფოს ეკონომიკაში მევენახეობას პირველი ადგილი უჭირავს. მაგალითად, საფრანგეთში ვენახები გადაჭიმულია მილიონ ხუთასი ათას ჰექტარზე, იტალიაში—მილიონ შვიდას ორმოცდაათი ათას ჰექტარზე, ესპანეთში — მილიონ ექვსას სამოცდაოთხ ათას ჰექტარზე. საფრანგეთი წელიწადში 600 მილიონ დეკალიტრამდე ღვინოს აყენებს, იტალია — 550 მილიონ დეკალიტრამდე, ესპანეთი —200 მილიონ დეკალიტრს. პატარა, ახლად განთავისუფლებულ ქვეყანაში — ალეირში 400.000 ჰექტარამდე ვენახია და 200 მილიონ დეკალიტრ ღვინოს აყენებენ.

ᲐᲠᲐᲨᲕᲐᲜ ზოგიერთ ქართველ მეღვინეებთან ერთად მოგვიხდა საფრანგეთის მეღვინეობის ძირითადი რაიონების შემოვლა, წელს კი რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხანაგ გეორგიუ-დეჟის მოწვევით, საქართველოს მეღვინეობის ტრესტის მეღვინე სპეციალისტები რუმინეთს ვესტუმრეთ.

კონგრესის გახსნის დღეს ინტერესს მოკლებული არ იქნება მკითხველებს მოკლედ გავაცნოთ საფრანგეთის მევენახეობა-მეღვინეობის მდგომარეობა, მისი პერსპექტივები.

საფრანგეთი კულტურული მევენახეობა-მეღვინეობით განთქმული ქვეყანაა. ბურგუნდიისა და ბორდოს წითელი ღვინოები, ფრანგული შამპანური და კონიაკი თავისი მაღალი ხარისხით ცნობილია მთელ მსოფლიოში. ამ ქვეყნის ბუნებრივ-კლიმატური პირობები კარგი ხარისხისა და მრავალნაირი ასორტიმენტის ღვინოების მიღების შესაძლებლობას იძლევა. საფრანგეთის მევენახეობაში ყოველი აგროტექნიკური ღონისძიება, მათ შორის ვაზის სხვლა და ფორმირება მიმართულია არა ვაზის აგროტექნიკური მოთხოვნილების უზრუნველსაყოფად, არამედ იმისაკენ, თუ რა მოთხოვნებს უყენებს ვაზს ესა თუ ის ღვინის ტიპი. იქ ვენახები მთლიანად შპალერზეა გადაყვანილი, რაც ვენახს კარგ დეკორაციულ ფორმას აძლევს. შპალერებს შორის ყველგან თანაბარი არეა დატოვებული, რაც მექანიზაციის განხორციელების რეალურ შესაძლებლობას იძლევა. ვენახებში ნიადაგი კარგად არის დამუშავებული. სიმეჩხერეს ადგილი არა აქვს. ვაზი და ყურძენი დაცულია მავნებლებისა და ავადმყოფობებისაგან.

1959 წელს საფრანგეთში გადამუშავებული იყო ექვს მილიონ ტონაზე მეტი ყურძენი, რადგან ღვინოზე დიდი მოთხოვნილებაა, ამზადებენ ვაშლისა და მსხლის ღვინოებსაც.

საფრანგეთის მეღვინეობის რაიონებში დიდ ყურადღებას აქცევენ ყურძნის ხარისხს, რადგან მასზეა დამოკიდებული ღვინის ხარისხიც. ყურძენს კრეფენ უსათუოდ შერჩევით. მაღალხარისხოვანი პროდუქციის მისაღებად მხოლოდ საღ და ნორმალურად მომწიფებულ მტევნებს იყენებენ, დაზიანებულ და მკვარე მტევნებს კი ცალკე არჩევენ და ამუშავებენ. შენობაში, სადაც დეღილი წარმოებს, იდეალური სისუფთავეა. სარდაფების იატაკი დაფარულია გარეცხილი ქვიშით. კედლებს კირით არ ათეთრებენ. სარდაფების ჭერ-კედლები დაფარულია კეთილშობილური ობით, რაც ბუნებრივ რეგულირებას უკეთებს სარდაფების ტენიანობას და ქმნის სიძველის სასიამოვნო შთაბეჭდილებას.

საფრანგეთში მაღალ დონეზე დგას კუპაჟების წარმოების ტექნიკა. ეს უზრუნველყოფს ერთხელ გამომვებული მარკის მრავალი წლის მანძილზე ერთგვაროვანი სახით დაცვას. იქ ღვინო აყვანილია გარკვეულ კულტურამდე. ხშირად შეხვდებით ასეთ წარწერებს: „ვინც ღვინოს სვამს, იგი თავის სახლში ვერაფერს ვერ ნახავს ექიმს", „ღვინო ღვთაებრივი სასმელია", „ღვინო საუკეთესო საჩუქარია, რომელიც ღმერთმა ადამიანს, მისცა", „ღვინო კაცობრიობის წარმომობიდან გაჩნდა ხალხის სამხიარულოდ"... მაგრამ ეს გამოთქმები დიდ სამსახურს უწევს კერძო მწარმოებლებს, რაც მათ ძველთაგანვე რეკლამისათვის სჭირდებათ.

მათი მევენახეობა და პირველადი მეღვინეობა თავმოყრილია წვრილ ფერმერულ მეურნეობაში. ჩვენ ვნახეთ ერთი წვრილი ფერმერის შიპატოს საკუთარი სარდაფი, რომელიც საკუთარი მარკით ყიდდა ღვინოს. ასეთი სარდაფი, ჩვენებურად რომ ვთქვათ, ასეთი მარანი, ყველა კახელ გლეხს აქვს.

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲨᲘ მეღვინეობის ყველა რაიონს დაღვინების თავ-თავისი ტემპერატურა აქვს. თუ ბორდოში ტემპერატურა 14-15 გრადუსია, ბურგუნდიაში 9-12 გრადუსს არ აღემატება. იქ დიდი მოთხოვნილებაა წითელ ღვინოზე. მათი წითელი ღვინო ნაზი, თხელია, ისე რომ წლის ყველა დროში სასიამოვნოა დასალევად. სულ სხვაა ჩვენი წითელი ღვინო საფერავი. იგი ვაკკაცურია, სხეულიანი და მძიმე. ზაფხულში, ძნელია დასალევად, მაგრამ მას ბევრი დადებითი მხარე აქვს. საფერავს სამკურნალო თვისებები აქვს. ჩვენ გვაქვს საკუთარი კლასიკური ტექნოლოგიით დაყენებული ღვინოები, რომლებიც წმინდა ქართულია, არც ერთ ქვეყანას მსგავსი ღვინო არ გააჩნია. ასეთებია ქვევრში დაყენებული „ტიბაანი", მძაფრად შეღებილი, სამკურნალო თვისებით მდიდარი „საფერავი", ბუნებრივად ტკბილი „ქინძმარაული". ამავე დროს გვაქვს ისეთი ღვინოებიც, რომლებიც წაგავან და არაფერით არ ჩამოუვარდებიან ფრანგულ ღვინოებს. მაგალითად, „ნაფარეული", „წინანდალი", „მანავის მწვანე", „თელიანი"...

საფრანგეთის უდიდესი ღვინის ჩამომსხმელი ქარხანა პარიზშია. ეს არის ფირმა „პრიფონტენი". გასულ წელს ამ ფირმამ გაყიდა 15 მილიონი დეკალიტრი ღვინო. ამ ყოველდღე ასხამენ 60 ათას დეკალიტრ ღვინოს. ეს ქარხანა ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით არის მოწყობილი. იგი ტელევიზებული და სავსებით მექანიზებულია. ეს ფირმა თავისი ღვინის 80 პროცენტს ალეირიდან იღებს.

ორიოდე სიტყვა შამპანურსა და კონიაკზე. შამპანი მევენახეობის განსაკუთრებული რაიონია, სადაც მზადდება ადგილობრივი ჯიშის ყურძენზე დაყენებული შუშხუნა ღვინო—შამპანური. შამპანში ერთ-ერთი დიდი წარმოება პომერიერენის შამპანური ქარხანაა. იგი წელიწადში 12 მილიონ ბოთლ შამპანურს უშვებს. ქარხანაში ყურძნის წვენი შემოდის ორასლიტრიანი კასრებით, პირდაპირ ვენახიდან. ყურძენს ვენახში წურავენ. ქარხნის საერთო სიგრძე მიწის ქვეშ 18 კილომეტრია. განყოფილებების ნომრები კი არ აწერია, არამედ იმ ქალაქების სახელების ქუჩები ეწოდება, რომლისთვისაც შამპანური მზადდება — ბუენოს-აირესის ქუჩა, ტენერეფის ქუჩა, ლონდონის ქუჩა, ნიუ-იორკის ქუჩა და სხვ. შამპანურისთვის განკუთვნილ ყურძნის თვითეულ მტევანს ცალცალკე ხელით არჩევენ. შამპანურის ძირითადი ჯიში პინოა. მთელ შამპანში ყოველწლიურად 30-32 მილიონ ბოთლ მაღალხარისხოვან შამპანურს ამზადებენ.

ᲙᲝᲜᲘᲐᲙᲘᲡ სპირტს ძირითადად შარანტის დეპარტამენტში ამზადებენ. ზღვისპირეთის რბილი კლიმატის გამო შარანტში იღებენ დაბალკოჰოლიან, მაღალმჟავიან უბრალო ღვინო მასალას, რომელიც იძლევა მაღალხარისხოვან საკონიაკე სპირტს. ამ სპირტიდან დამზადებული კონიაკი უნაზესი არომატით ხასიათდება. იგი გამქვავრავლე ნაის ფერისაა, დამახასიათებელი ბუკეტით და გემოთი. ფრანგული კონიაკის ერთ-ერთი წამყვანი ფირმა „კურვაზიე" წელიწადში 7 მილიონ ბოთლ კონიაკს უშვებს. კონიაკი საფრანგეთში ეწოდება მხოლოდ იმ პროდუქტს, რომელიც მიღებულია შარანტის დეპარტამენტში მიღებული ყურძნიდან. საფრანგეთი ყოველწლიურად გზავნის საექსპორტოდ 40-50 მილიონ ბოთლ კონიაკს.

მევენახეობა-მეღვინეობის საერთაშორისო ბიუროს შემთხვევით არ გადაუწყვეტია წელს კონგრესის საქართველოში მოწვევა. მას ჰქონდა ამის დიდი საფუძველი. მსოფლიოს მევენახე-მეღვინეები ჩვენს ქვეყანაში ნახავენ ბევრ კარგს, მათთვის ახალსა და საინტერესოს. თვალნათლივ იხილავენ ქართული ვაზის ჯიშებს მათი მსხმოიარობის დროს, გაეცნობიან ღვინის დაყენების ჩვენს სამამულო ტექნოლოგიას, რომელიც დაიხვეწა და განვითარდა ათობით საუკუნეთა მანძილზე. ქართველი მეღვინეები კი დეგუსტაციის დროს უცხოელ მეცნიერებთან საუბარში უფრო ნათლად გაიგებენ, თუ რა შეფასების ღირსია ქართული ღვინო, რომელმაც ასე შორს გაითქვა სახელი და არა ერთი და ორი ოქროს მედალი მიიღო ჯილდოდ.

კონგრესი, რომელიც დღეს იხსნება, ქართველ მევენახე-მეღვინეთა შრომას კიდევ უფრო აამაღლებს და ჩვენს ვაზსა და ღვინის დაყენების ქართულ ტექნოლოგიას საერთაშორისო აღიარებას მოუპოვებს.

ვ. გელაშვილი,
სამტრესტის საწარმოო განყოფილების გამგე.

კომუნისტი
მე-4 გმირდ. ხუთშაბათი.
13 სექტემბერი, 1962 წ.

ᲛᲪᲮᲘᲚᲔ ᲡᲐᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲝ ᲜᲐᲑᲘᲯᲘ

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲮᲐᲣᲠᲔᲑᲐ ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲖᲔ

საერთაშორისო ცხოვრება

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 11 სექტემბერი. (საკდესი). ლონდონში დიდი ყურადღებით შეხვდნენ საკდესის განცხადებას, რომელიც სსრ კავშირის მთავრობის სახელით გაკეთდა. განცხადების გამოქვეყნებისთანავე მისი ძირითადი დებულებანი გადაიცა რადიოთი და ტელევიზიით.

საღამოს გაზეთებმა სასწრაფოდ გადააკაბადონეს პირველი გვერდი და აცნობეს მკითხველებს საბჭოთა კავშირის მთავრობის სერიოზული გაფრთხილება.

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 11 სექტემბერი. (საკდესი). საკდესის გაანცხადება ამერიკის დეპეშათა საგენტოების დღეგადილი ცნობების ცენტრალური თემაა. საგენტოებმა გამოაქვეყნეს ამ დოკუმენტის შინაარსი, მაგრამ გამოტოვეს მოსაზრებანი, რომლებსაც შეიცავს განცხადება და რომლებსაც არსებითად სასაკილოდ აქვთ აღებული ვაშინგტონის მტკიცებანი, რომ კუბა თითქოს საფრთხეს უქმნიდეს ამერიკის შეერთებული შტატებისა და დასავლეთ ნახევარსფეროს სხვა ქვეყნების უშიშროებას.

ამ ცნობებში ხაზგასმულია სერიოზული ხასიათი საბჭოთა გაფრთხილებისა, იმის შესახებ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ყოველ ცდას დაესხან კუბას, შეუძლია თავს დაატეხოს მსოფლიოს მსოფლიო საყოველთაო ომის კატასტროფა, რომლის დროსაც გამოყენებული იქნება თერმოატომური იარაღი.

სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელი თავის პირველ კომენტარებში საკდესის განცხადებისადმი დასჯერდა იმას, რომ თქვა, ამ განცხადებას ახლა სწავლობენო.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 11 სექტემბერი. (საკდესი). ლონდონში დიდი ყურადღებით შეხვდნენ საკდესის განცხადებას, რომელიც სსრ კავშირის მთავრობის სახელით გაკეთდა. განცხადების გამოქვეყნებისთანავე მისი ძირითადი დებულებანი გადაიცა რადიოთი და ტელევიზიით.

საღამოს გაზეთებმა სასწრაფოდ გადააკაბადონეს პირველი გვერდი და აცნობეს მკითხველებს საბჭოთა კავშირის მთავრობის სერიოზული გაფრთხილება. „ბ-ნი ხრუშჩოვი ეუბნება ამერიკის შეერთებულ შტატებს: „ხელები შორს კუბისაგან“ — გაზეთმა „ივნინგ სტანდარდი“ მთელ პირველ გვერდზე გადაჭიმული ასეთი სათაურით მოათავსა საკდესის განცხადების ნაწყვეტები. იგი შეიცავს გაფრთხილებას, წერს გაზეთი, რომ კუბაზე თავდასხმა შეიძლება მსოფლიო ატომური ომის დასაწყისი გახდეს.“

„მიმართავ კუბის გამო. ომი — თუ თქვენ თავს დაესხით, გაფრთხილებას იძლევა ხრუშჩოვი“, — იუწყება მეორე საღამოს გაზეთი „ივნინგ ნიუსი“.

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 11 სექტემბერი. (საკდესი). პირველი ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ ეხმაურებიან ამერიკის შეერთებულ შტატებში საკდესის განცხადებას, მოწმობენ, რომ ვაშინგტონის ოფიციალური წრეები ვერაფერს ამბობენ იმ სერიოზულ ბრალდებათა წინააღმდეგ, რომლებსაც ეს განცხადება შეიცავს. ამერიკის ოფიციალური პირები არსებითად არ უარყოფენ საკდესის განცხადებაში მოყვანილ ფაქტებს, რომლებიც ცხადყოფენ, თუ რა საშიში შედეგები შეიძლება მოჰყვეს ამერიკის შეერთებული შტატების პროვოკაციულ პოლიტიკას კუბის მიმართ და ცდილობენ პირდაპირ გვერდი აუარონ ამ განცხადებას და სერიოზულ გაფრთხილებებს, რომლებსაც ეს განცხადება შეიცავს. ამავე დროს ისინი აშკარად ამბობენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები კვლავაც აგრესიულ კურსს დაიცავენ კუბის რესპუბლიკის მიმართ. მაგალითად, იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის საგენტოს ცნობით, დემოკრატების ლიდერმა სენატში სენატორმა მენსფილდმა იმაზე უკეთესი ვერაფერი გამონახა, რომ ეთქვა, საკდესის განცხადება „წმინდა წყლის პროპაგანდაა“. სახელმწიფო მდივანმა რასკმა, როცა კორესპონდენტებმა სთხოვეს გაეკეთებინა კომენტარი საბჭოთა განცხადებისათვის, თქვა, ამერიკის შეერთებული შტატები „ისე მოიქცევიან, როგორც საჭიროდ მიიჩნევენო“. ანალოგიური ხასიათისაა სხვა სენატორთა და კონგრესმენთა განცხადებანი.

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 11 სექტემბერი. (საკდესი). პარიზის საღამოს გაზეთები პირველ გვერდზე აქვეყნებენ საკდესის განცხადებას, რომელიც ამხილებს შეერთებული შტატების აგრესიულ პოლიტიკას. გაზეთები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ საქმე ეხება მეტად სერიოზულ გაფრთხილებას. „სსრ კავშირი აფრთხილებს შეერთებულ შტატებს, რომ კუბაზე თავდასხმა მსოფლიო ომის დასაწყისი იქნებოდა“, — აცხადებს სათაურში „მონდი“. ეს გავლენიანი გაზეთი აღნიშნავს საბჭოთა განცხადების სავსებით გარკვეულ“ და „მტკიცე“ ტონს.

ყველა საღამოს გაზეთი — „მონდი“, „კრუა“, „ფრანს-სუარი“, „პარი პრესენტრანსიანი“ — აღნიშნავენ, რომ საბჭოთა მთავრობა კუბაში გზავნის ტექნიკოსებსა და სპეციალისტებს და არ აპირებს შექმნას იქ სამხედრო ბაზა. „მოსკოვი, — წერს კათოლიკური გაზეთი „კრუა“, როცა იძლევა საკდესის განცხადების შინაარსს, — მოუწოდებს მთელი მსოფლიოს ხალხებს დაგმონ ამერიკის პოლიტიკა... საბჭოთა მთავრობა აცხადებს, რომ იგი არ მიბაძავს ამერიკის შეერთებული შტატების მაგალითს, რომლებიც 150 ათას რეზერვისტს იწვევენ არმიაში. მაგრამ, ითვალისწინებს რა თანამედროვე ვითარებას, საბჭოთა მთავრობას თავის მოვალეობად მიაჩნია სიფხიზლე გამოიჩინოს. იგი ავალებს თავდაცვის მინისტრსა და არმიის სარდლობას ყოველი ღონე იხმაროონ, რათა საბჭოთა შეიარაღებული ძალები მზად იყვნენ სამოქმედოდ“.

ᲛᲔᲥᲡᲘᲙᲝ, 12 სექტემბერი. (საკდესი). მექსიკის საზოგადოებრიობის ფართო წრეები კვლავ უცხადებენ თავიანთ მხარდაჭერას გერ კუბელ ხალხს, რომელსაც ახალი აგრესიის საფრთხეს უქმნიან ამერიკელი იმპერიალისტები. დღეს გაზეთმა „დიამ“ გამოაქვეყნა „ეროვნული განთავისუფლების მოძრაობის“ განცხადება.

განცხადებაში ეს ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ ამჟამად კუბის წინააღმდეგ მზადდება გაცილებით დიდი მასშტაბის ახალი აგრესია, ვიდრე დღემდე იყო. იგი მოუწოდებს ლათინური ამერიკის ხალხებს გაალიერონ სიფხიზლე, „რადგან კუბაში შეჭრის საფრთხე ამავე დროს სერიოზულ საფრთხეს უქმნის ყველა ჩვენს ქვეყანას, ჩვენს საკუთარ სუვერენიტეტს, თავისუფალი თვითგამორკვევის უფლებებსა და დემოკრატიის ნაშთებს, რომელიც ჯერ კიდევ შემორჩენილია ლათინურ ამერიკაში“.

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲤᲘ ᲒᲕᲐᲪᲣᲧᲝᲑᲘᲜᲔᲑᲡ

□ 9 სექტემბერს ავსტრიის ფედერალურმა პრეზიდენტმა ა. შერფმა გახსნა ტრადიციული საშემოდგომო ბაზრობა ვენაში. ბაზრობაში მონაწილეობს ავსტრიისა და უცხოეთის 5 ათასი ფირმა და საწარმო.

□ როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის საგენტოს კორესპონდენტი თეირანიდან იუწყება, დღეს 11 საათსა და 15 წუთზე გრინვიჩით მიწისქვეშა ბიძგმა, რომელიც 15 წამს გაგრძელდა, შესძრა თეირანი და ის რაიონი, სადაც 10 დღის წინათ მოხდა საშინელი მიწისძვრა, რომლის შედეგადაც ათასობით ადამიანი დაიღუპა.

ჯერჯერობით არ გამოქვეყნებულა ცნობა ახალი მიწისქვეშა ბიძგით გამოწვეული რაიმე მსხვერპლის შესახებ.

□ ხიროსიმას საავადმყოფოში სხივური დაავადებით გარდაიცვალა ამ ქალაქის კიდევ ერთი მცხოვრები იკიო იოსიმა.

□ ᲨᲝᲢᲚᲐᲜᲓᲘᲐᲨᲘ 12 საათს გრძელდებოდა კოკისპირული წვიმა. ადიდებული მდინარეების წყალი ნაპირებზე გადმოვიდა და დატბორა ბევრი ქალაქისა და სოფლის გზები და ქუჩები. გლაზგოს ზოგიერთ რაიონში წყლის დონემ ქუჩებში ერთ მეტრს მიაღწია. (საკდესი).

დასავლეთ გერმანიის ქალაქებში გაიმართა დემონსტრაციები ბუნდესვერის ატომური შეიარაღების პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელსაც ბონის მთავრობა ახორციელებს. დემონსტრაციებში მონაწილეობდნენ პროფკავშირთა წევრები და პროგრესული ორგანიზაციების წარმომადგენლები. მათ მოაქციეს მშვიდობისკენ მოწოდებული პლაკატები. სურათზე: დემონსტრანტების კოლონა დუისბურგში.

ფოტო ადნ-საკდესისა (სურათი მიღებულია ფოტოტელეგრაფით).

ᲡᲢᲣᲛᲠᲐᲓ ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲘᲡ

ᲡᲝᲤᲘᲐ, 11 სექტემბერი. (საკდესი). დღეს დილით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პარტიულ მუშაკთა დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის რუსეთის სფსრ მიუროს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. პ. კირილენკო, ქალაქ პლოვდივში ჩავიდა. დელეგაციის წევრებს ახლდნენ — ბულგარეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. იუგოვი, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ეულჩევი, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი ნ. �აკოვი. დელეგაციის წევრებთან ერთად პლოვდივში ჩავიდა სსრ კავშირის ელჩი ბულგარეთში ს. ა. დენისოვი.

დელეგაციის წევრებმა დათვალიერეს პლოვდივის [illegible] ადგილები. [illegible] — [illegible] ალოდიოს [illegible] — [illegible] ბულგარეთის [illegible] [illegible] [illegible]

ახალი ამბები

„განძი“

ფრანგულ ენაზე

ჟურნალმა „ოვრ ე ოპინიონმა“ („ნაწარმოებები და აზრები“), რომელიც მოსკოვში გამოდის ფრანგულად და ბეჭდავს საბჭოთა მწერლობის საუკეთესო ნაწარმოებებს, აგვისტოს ნომერში გამოაქვეყნა დ. შენგელაიას ცნობილი მოთხრობა „განძი“.

„განძი“ რუსულიდან ფრანგულად თარგმნა ჟან შამპენუამ.

სურათზე: ჟურნალ „ოვრ ე ოპინიონის“ გვერდი, რომელზეც დაბეჭდილია დ. შენგელაიას პორტრეტი და ბიოგრაფიული ცნობა.

ნაპოვნია უძველესი სამარხი

ყვარელი. (საკ. კორ.). შილდაში მცხოვრებმა ივანე და ალექსი ამირხანოვებმა „ნაზვრევში“ აღმოაჩინეს ქვაყუთიანი სამარხი, რომელშიც ქალის ჩონჩხი და ლამაზად ნაკეთები თიხის სურა აღმოჩნდა. სპეციალისტების აზრით იგი I-III საუკუნისა უნდა იყოს.

თიხის სურა გრემის საზოგადოებრივ ხაწყისებზე შექმნილ მუზეუმს გადაეცა.

მზე კვლავ „ღელავს“

კისლოვოდსკი, 10 სექტემბერი. (საკ. ფსკ.). დღეს მიღებულ იქნა ცნობა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის კისლოვოდსკის სამთოსასტრონომიული სადგურიდან. სადგურის მეცნიერმა მუშაკმა ვ. ი. მაკაროვმა საკდესის კორესპონდენტს აცნობა:

სექტემბრის პირველი დღეებიდან ასტრონომიული სადგურის ხელსაწყოები აღნიშნავენ მზის გადიდებულ აქტივობას, რომელიც წარმოიშვა მზის მშვიდი მდგომარეობის ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ. განსაკუთრებით კარგი ამინდის წყალობით, რომელიც ამ დღეებში დგას მაღალმთიან პლატოზე, მიღებულია ცნობები მზის ატმოსფეროს ყველა ფენის მდგომარეობის შესახებ. ფიქსირებულია საინტერესო მოვლენები რადიოტელესკოპებზე.

ამჟამად შეინიშნება მზის აქტივობის უმნიშვნელო დაქვეითება.

მიღებული მონაცემები დიდ ინტერესს წარმოადგენენ ასტრონომიისათვის, ყველა მასალა გადამუშავების სტადიაშია.

ოპერის თეატრი ახალ სეზონში

12 სექტემბერს თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრმა ახალი, 1962–1963 წლის სეზონი გახსნა ქართული მუსიკის კლასიკოსის ზ. ფალიაშვილის ოპერა „დაისით“. სპექტაკლი მიეძღვნა მეცენატობისა და მეღვინეობის X მსოფლიო კონგრესს. თბილისში ჩამოსული სტუმრები 14 სექტემბერს ნახავენ აგრეთვე ა. მაჭავარიანის ბალეტ „ოტელოს“.

ჩვენი გაზეთის კორესპონდენტთან საუბარში თეატრის დირექტორმა, საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა დიმიტრი მჭედლიძემ აღნიშნა: თეატრს სეზონი უნდა გაეხსნა უფრო მოგვიანებით, მაგრამ ვინაიდან თბილისი გახდა მეცენატობისა და მეღვინეობის მსოფლიო ფორუმის ადგილი, გადავწყვიტეთ მუშაობა ადრე დაგვეწყო. თეატრი ამ დღეებში, 19 სექტემბრამდე გამართავს რამდენიმე სპექტაკლს, შემდეგ შეისვენებს, ოქტომბრის პირველი რიცხვებიდან კი სპექტაკლები რეგულარულად გაიმართება.

როგორც ცნობილია, ლენინგრადში ჩვენი თეატრის გასტროლებს დიდი წარმატება ხვდა. ბალეტის სპექტაკლების გარდა მაყურებელთა დიდი ინტერესი გამოიწვია ქართულმა საოპერო ხელოვნებამ. ჩვენს საგასტროლო რეპერტუარში ქართველი, რუსი და საზღვარგარეთელი კომპოზიტორების კლასიკური ოპერების გარდა, შეტანილი იყო თანამედროვე ქართველ კომპოზიტორთა ახალი ოპერები—შ. მშველიძის „დიდოსტატის მარჯვენა“, ო. თაქთაქიშვილის „მიხდია“ და დ. თორაძის „ჩრდილოეთის პატარძალი“, ბალეტები — „ოტელო“, „დემონი“, „გორდა“, „მშვიდობისათვის“.

იანვარში თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი საგასტროლოდ მიწვეულია მოსკოვში.

ახალი დადგმებიდან თეატრი აშენებულ მუშაობს ვერდის ოპერა „დონ კარლოსზე“. განახლებული დადგმით თბილისელები ნახავენ ოპერა „ტრუბადურებს“, სადაც წამყვან პარტიას შეასრულებს იტალიიდან ახლად დაბრუნებული ჩვენი თეატრის სოლისტი ნ. ახდღულაძე. კაპირებთ ოპერა „რიგოლეტოს“ განახლებას.

ჩვენს საბალეტო კოლექტივს ახალი სეზონში ნავარუდევი აქვს განახორციელოს ბ. კვერნაძის ბალეტი „მხატვრის სახელოსნოში“, რომელსაც დადგამს ზ. კიკალეიშვილი, მხატვრობას შეასრულებს ლ. გუდიაშვილი.

წელს ეროვნული საოპერო რეპერტუარი შეივსება ა. მაჭავარიანის ოპერა „ჰამლეტით“, რომელზეც კომპოზიტორი ამჟამად მუშაობს. წელს დაედგმათ აგრეთვე ლ. ფალიაშვილის ოპერა „იავნანას“.

დიდი ყურადღება მიექცევა ახალგაზრდა შემასრულებელთა დაწინაურებას წამყვან როლებში. თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სპექტაკლებში მონაწილეობას ეიღებენ უცხოელ მომღერლებიც.

მოკლედ...

თელავი. (საკ. კორ.). ვარდისუბნის კოლმეურნეობამ ქვევრების დამამზადებელი ორი საამქრო მოაწყო. კოლმეურნე მექვევრეები გიორგი ღვთისმშვილი, აპოლონ ნატროშვილი და სხვები ბევრ და საუკეთესო ხარისხის ქვევრებს აკეთებენ. წელს 18.750 დეკალიტრის ტევადობის ქვევრები გამოუშვეს. ერთ ამდენს წლის ბოლომდე დაამზადებენ.

კოლმეურნეობა ქვევრების რეალიზაციით დიდ შემოსავალს იღებს.

თელავის ადგილობრივი მეურნეობის კომბინატი დიდძალ სამშენებლო მასალებს, ავეჯსა და სხვა პროდუქციას უშვებს. ახლახან კომბინატში გაიხსნა მხატვრული კერამიკული საამქრო.

ლაგოდეხის სახალხო თეატრმა მორიგ პრემიერად მაყურებელს უჩვენა ო. დგებუაძის და გ. ბერძენიშვილის დრამა „სიმართლისათვის“. დადგმა ეკუთვნის მ. თანდილაშვილს, მხატვრობა ა. დუნდუკოვს.

სახალხო თეატრი დასადგმელად ამზადებს ი. ჭავჭავაძის „კაციადამიანის?“ ინსცენირებას და გ. ერისთავის „სამშობლოს“.

მ. გოგოსაშვილი.

კეთილშობილური საქციელი ჩაიდინა თბილისელმა ტაქსის მძღოლმა მ. ჩქარეულმა, რომელმაც მანქანაში დარჩენილ 2.000 მანეთი და საბუთები დაუბრუნა მგზავრს. როდესაც მადლობა გადუხადეს, მ. ჩქარეულმა თქვა, მე ჩემი უბრალო ადამიანური მოვალეობა შოვიხადეო.

ნ. გაბუნია.

საგასტროლოდ უცხოეთში

ჩვენი ინტერვიუ

საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის ბაღის შესასვლელშიგე გაიგონებთ ქართულ საცეკვო მელოდიებს. ეს ხმები მოისმის სარეპეტიციო დარბაზიდან, სადაც მეცადინეობს საქართველოს სსრ ხალხური ცეკვის დამსახურებული ანსამბლი. აქ ქორეოგრაფიული ხელოვნების ოსტატები ყოველდღიურად დაძაბულად მუშაობენ. ეს გასაგებიც არის. ისინი ხომ სულ მალე საგასტროლოდ მიემგზავრებიან საზღვარგარეთ.

სარეპეტიციო დარბაზში შეეხვდით ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელებს საქართველოს სსრ სახალხო არტისტს ნინო რამიშვილსა და სსრ კავშირის სახალხო არტისტს ილიკო სუხიშვილს. მათ ვთხოვეთ ჩვენი გაზეთის მკითხველებისათვის გაეცნო საგასტროლო მოგზაურობის პროგრამა.

— 14 სექტემბერს ჩვენი ანსამბლი საგასტროლოდ მიემგზავრება ოთხ სახელმწიფოში, — გვეუბნება ი. სუხიშვილი, — შვეიცარიაში, ავსტრიაში, ბელგიასა და ჰოლანდიაში. აღსანიშნავია, რომ ამ ქვეყნებიდან ავსტრიასა და ბელგიაში ხელმეორედ მიგვიწვიეს. ავსტრიაში კონცერტებს ვმართავდით 1949 წელს, ბელგიაში კი 1960 წელს.

ახალი სასტუმრო

საქართველოს სამხეთრო გზაზე თვალს აბარებს აგარაკი ფასანაური. ბუნების მომაჯადოებელი სილამაზე, მთის ჰაერი და ანკარა წყაროები ათასობით მნახველს იზიდავს. ფასანაურზე გადის ბევრი ტურისტული მარშრუტი. აქ ხშირად არიან უცხოელი სტუმრები.

ლამაზი ფასანაური კიდევ უფრო დამშვენდა. აქ ააგეს შესანიშნავი სასტუმრო და რესტორანი, რომლებიც სექტემბრის ბოლოს გადაეცემა საექსპლოატაციოდ.

სურათზე: ფასანაურის ახალი სასტუმრო-რესტორანი.

ფოტო ბ. მოსიაშვილისა.



ბაბუერის რაიონის ქვიშხეთის საშუალო სკოლის მეათეკლასელი ნორჩი ნატურალისტები. (მარცხნიდან): მაყვალა ღონღაძე, ნანული კიკნაძე და ლილი გიგიტაშვილი სკოლის საცდელ ნაკვეთში ამოწმებენ ყურძნის შაქრიანობას.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

პირველი ოქროს მედლები

იუგოსლავიის დედაქალაქ ბელგრადში დაიწყო ჩემპიონატი მძლეოსნობაში, რომელშიც 25 ქვეყნის სპორტსმენი მონაწილეობს. გუშინ სახალხო არმიის სტადიონზე მეცა პირველი სტარტები, გაიმართა წინასწარი შეხვედრები ფინალურ ჯგუფებში გასასვლელად.

შეჯიბრების პირველ დღეს გათამაშდა სამი ოქროს მედალი. ევროპის ჩემპიონები გახდნენ ქალთა შორის ბირთვის კვრაში მსოფლიო რეკორდსმენი თ. პრესი, რომელმაც გაიმეორა თავისივე მსოფლიო რეკორდი — 18,55. ბრინჯაოს მედალი საბჭოთა მძლეოსანს გ. ზიბინას ერგო. 10.000 მეტრზე რბენაში როგორც მოსალოდნელი იყო, გაიმარჯვა მსოფლიო რეკორდსმენმა, ოლიმპიურმა ჩემპიონმა ჯ. ბოლოტნიკოვმა შედეგით — 28,54,0. 20 კილომეტრიანი დისტანცია სპორტულ სიარულში პირველად ინგლისელმა მეტიუზმა დაძლია. საბჭოთა სპორტსმენმა გოლუბნიჩმა ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

ჩოგბურთელთა ასპარეზობა

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ჩოგბურთში გადამწყვეტ ფაზაში შედის. დამთავრდა შეხვედრები ქვეყნებში. დღეიდან ბრძოლაში ჩაებმებიან ამერიკის შეერთებული შტატების ღია ჩემპიონატის მონაწილენი თ. ლეიუსი, ა. მეტრეველი, ს. ლიხაჩოვი, ა. დმიტრიევი.

ჩვენი რესპუბლიკიდან ფინალში ითამაშებენ ქალები: ერმოლოვა და ობეანდაძე. ქალთა წყვილებში ერმოლოვა-კრეპკინას წყვილი ფინალში გავიდა.



ლაქა იუპიტერზე

საინტერესოა ვიცოდეთ

უკანასკნელ ხანს ასტრონომია ყურადღებას აქცევ მიიპყრო საკვირველმა მოვლენამ პლანეტა იუპიტერზე. ეს არის დიდი წითელი ლაქა. გი შემჩნეულია პლანეტის სამხრეთ ნახევარსფეროზე.

წითელი ლაქა იუპიტერზე პირველად აღმოაჩინა ფრანგმა ასტრონომმა კასინიმ 1664 წელს. მას შემდეგ ლაქის გიგანტური ზომები და ფორმა თითქმის არ იცვლებოდა. სამაგიეროდ იცვლებოდა მისი შეფერილობის ინტენსიობა. ლაქა განსაკუთრებით მკვეთრი გახდა გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში. მაშინ იგი მოწითლო აგურისფერი ყო და ოვალური ფორმა ჰქონდა. სიგრძე შეადგენდა 50.000 კილომეტრს (ეს დედამიწის განივკვეთზე ოთხჯერ მეტია), ხოლო სიგანე — 11.000 კილომეტრს.

გასული საუკუნის დასასრულიდან ლაქის ინტენსიობამ თანდათანობით კლება იწყო და ახლა ამის შემჩნევა მძლავრი ტელესკოპებითაც შეუძლებელია. ლაქაზე მრავალი წლის დაკვირვება გვიჩვენებს, რომ მისი ბრუნვის პერიოდი მნიშვნელოვნად იცვლება და ხშირად არ შეესაბამება პლანეტის დღეღამურ ბრუნვას. იუპიტერის ხილულ ზედაპირზე ლაქა ადგილს იხაცვლებს მის გარშემო მყოფი დეტალების შესაბამისად და თავისი შუალედური მდგომარეობიდან ხანერთ მხარეზე გადაიხრება, ხან მეორეზე.

როგორია იუპიტერზე ამ უჩვეულო წარმონაქმნის ბუნება? სამწუხაროდ, ეს საკითხი აქამდე გადაუწყვეტელია. შესაძლოა, რომ ლაქა არის სფერო ინტენსიური ვულკანური მოქმედებისა, რომელიც მიმდინარეობს ღრუბლოვანი ფენის ქვეშ. სხვა ასტრონომები თვლიან, რომ ეს არის იუპიტერის ატმოსფეროში როდაც ნივთიერების დაგროვება. დადგენილია, რომ უცნობი ნივთიერება უკუგდებით მოქმედებას ახდენს ატმოსფეროს სხვა წარმონაქმნებზე და, კერძოდ, ღრუბლებზე, რომლებიც გადაადგილებისას ლაქას გადახრიან მხოლოდ ჩრდილოეთით ან სამხრეთით.

ამჟამად წითელ ლაქას გადაეკრა მოთეთრო ბისტი, რომლის ბუნება ჯერჯერობით უცნობია. იუპიტერის გამოკვლევა გრძელდება. ამ ლაქის საიდუმლოება ამოცნობილ იქნება.

საგენტო „ახალი ამბები“.

ზაფხულის ოლიმპიადა

ფეხბურთელთა ბანაკი

ბაკურიანი. (საკ. კორ.). ბაკურიანში ფეხბურთელთა ბანაკი ეწყობა. ბანაკში ეწვევიან ბაკურიანელ, ბორჯომელ, ფოთელ, ზუგდიდელ, ფოთელ, ბორჯომელ, ბაკურიან